



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000000582094420

№ კ-136

13 / მაისი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეებისათვის ზეგანაკვეთური სამუშაოს დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, 27-ე მუხლის და დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის, შალვა კერესელიძის წერილის (N01773, 04.05.2020წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოქმედი რეგიონული ცხელი ხაზის - 144-ის სრულყოფილად ფუნქციონირების მიზნით, ცხელი ხაზის ოპერატორის ფუნქცია, ზეგანაკვეთური სამუშაოს სახით, 2020 წლის 4 მაისიდან დაეკისროთ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შემდეგ საჯარო მოსამსახურეებს:

- ა) **ზურაბ ივანიშვილი** - განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- ბ) **ნანა კაპანაძე** - განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ტურიზმის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- გ) **თამაზ გრძელიშვილი** - განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
- დ) **ლია ჩალაძე** - განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ე) **მარი კაპანაძე** - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ვ) **ეკატერინე ავსაჯანიშვილი** - განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის კულტურის, სპორტის და განათლების ა(ა)იპ-ებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ზ) **ნატო იორდანიშვილი** - ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თ) **ხვია ბაიაშვილი** - ეკონომიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების III რანგის III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ი) **ნატა გარსევანიშვილი** - ქალაქ მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

2. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირების სამუშაო ადგილად, დროებით განისაზღვროს დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის


ადმინისტრაციის ადმინისტრაციული შენობა (მისამართი: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქ. N73).

3. ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ საჯარო მოსამსახურეებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის, მიეცეთ სახელფასო დანამატი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათებისა და თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით.

4. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია 
ელექტრონულად

გიორგი კაპანაძე